საქართველოს ორგანული კანონი

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 76) 39^1 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. თუ პოლიტიკურ პარტიას ამ კანონის ამოქმედებამდე არ მიუღია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების სახით მისაღები ის თანხა, რომელიც მას ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39^1 მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების შედეგების საფუძველზე უნდა მიეღო, ეს პოლიტიკური პარტია აღნიშნულ თანხას მიიღებს ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი წესით.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის მომდევნო დღიდან.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**

თბილისი,

15 მაისი 2024 წ.

N4159-XIVმს-Xმპ